პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 231 (3208) | 29 | 1966 წ. ნოემბერი, სამშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

XXVI ჩემპიონატი

## ნანამ მოხიბლა კიეველები

**კიევი, 28 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის VIII ტურში ლიდერებმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს.

ტ. ზატულოვსკაია მეთოდურად ავიწროებდა ვ. ტიხომიროვას პოზიციას. მოსკოველი დიდხანს შეუპოვრად იგერიებდა მუქარებს, მაგრამ ბოლოს დაიღალა, ყურადღება მოადუნა და... უხარისხოდ დარჩა. ამან გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი ზატულოვსკაიას სასარგებლოდ.

სიცილიური დაცვით დაიწყო ბრძოლა ნ. ალექსანდრია — გ. არჩაკოვას შეხვედრაში. ქართველმა ოსტატმა მძლავრი იერიში განავითარა, მაგრამ მინსკელმა მოახერხა თამაშის ენდშპილში გადაყვანა. მაგრამ ამან ვერ გადაარჩინა არჩაკოვა: გამსვლელი პაიკების ამოძრავებით ალექსანდრიამ ლამაზად მოიგო ჯერ მხედარი, შემდეგ — პარტია. თბილისელი სტუდენტის თამაშით მოხიბლულმა მაყურებლებმა იგი ტაშით დააჯილდოეს.

კარგად თამაშობდა ლ. იდელჩიკი. მან დაამარცხა კ. სკეგინა.

გულდასაწყვეტი მარცხი მოუვიდა მ. რანიკუსთან შეხვედრაში ტურნირის უხუცეს მონაწილეს ე. ბიკოვას. მას თვალშესავლები უპირატესობა ჰქონდა, როცა 37-ე სვლაზე დროს გადააცილა.

„დიდოსტატური ყაიმით“ დასრულდა ე. კაკაბაძე — ა. ჩაიკოვსკაიას პარტია.

5 პარტია გადაიდო.

**ტ. კრიუკოვა,**
**საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის მსაჯი.**

### გუშინ...

გადადებული პარტიების დამთავრებისას ალექსანდრიამ მოუგო ვოიციკს, რომელიც, აგრეთვე, დამარცხდა რუბცოვასთან. კოზლოვსკაიამ გაიმარჯვა მედიანიკოვასთან და ყაიმზე შეუთანხმდა მუსლიმოვას. ბოიახჩიანმა მოუგო ბიკოვას. ყაიმი იქნა ფიქსირებული ზატულოვსკაია — კისლოვასა და კისლოვა — კახაბრიშვილის შეხვედრებში.

8 ტურის შემდეგ ტ. ზატულოვსკაიას 6,5 ქულა აქვს, ნ. ალექსანდრიასა და ლ. იდელჩიკს — 6-6, ვ. კოზლოვსკაიასა და ე. რუბცოვას — 5,5-5,5. ა. ჩაიკოვსკაიას 4,5 ქულა აქვს, ე. კაკაბაძეს — 3, ც. კახაბრიშვილს — 2.

29 ნოემბერს მოჭადრაკე ქალები ისვენებენ, ხოლო 30-ში შედგება IX ტური.

**(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).**

ჭადრაკი

### მხოლოდ სამი...

**ბაქო, 28 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** ამიერკავკასიის უძლიერესი მოჭადრაკეების ტურნირის IX ტურში მხოლოდ 3 პარტია დამთავრდა. დემირხანიანმა მოუგო ლომაიას, ხოლო გაფრინდაშვილ — მაჭავარიანისა და კ. გრიგორიან — ბუსლაევის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

## ახალი ამბები

● **მოსკოვი, 27 ნოემბერი.** ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო მატჩი შაიბიან ჰოკეიში. ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა —6:4.

● *მოსკოვი*, 27 ნოემბერი. უკან დარჩა ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის 15 ტური. ლიდერობს რიგელი დიდოსტატი ა. ანდრეიკო, რომელსაც 10 ქულა აქვს 14-დან. 9-9 ქულა მოაგროვეს მოსკოველებმა ვ. აგაფონოვმა, ბ. შკიტკინმა და ოდესელმა მ. კორხოვმა. ამდენივე ქულა აქვს კიეველ ვ. კაპლანს, ოღონდ 15 შესაძლებლიდან.

### ცვლილებები კალენდარში

**არასაფრენი ამინდის გამო ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში ორი ცვლილება მოხდა — 1 დეკემბრისთვისაა გადატანილი 30 ნოემბერს დანიშნული მატჩები:** „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) და „ტორპედო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი). ეს თამაში, როგორც ცნობილია, თბილისში გაიმართება.



თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს რესპუბლიკის უძლიერეს ფალავანთა ტურნირი.

ს უ რ ა თ ზ ე: ქვესაშუალო წონის მოჭიდავეების — ახმეტელი კუბლაშვილისა და რუსთაველი მაისურაძის ჭიდილის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.

## ტრამპლინისა და კოშკზე — ნორჩები

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის დახურულ აუზში ორ დღეს მიმდინარეობდა ყაზახეთის, ლიტვისა და საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა სამატჩო შეხვედრა წყალში ხტომაში.

პირველ დღეს გოგონები 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტებოდნენ. აქ ყველას აჯობა ლიტველმა გ. ვალაიტიტემ—86,91 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილები საქართველოს გუნდის წევრებს ხვდათ წილად: II — ნ. ცოცხალაშვილს (85,47), III — ზ. ჩეკულაევას (76,69). ჭაბუკებში ტოლი არ ჰყავდა ყაზახეთის გუნდის წევრს ვ. ხარკოვს — 88,61. II ადგილზე გავიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი რ. არუთინოვი, ხოლო III — ლიტველი ა. ვიშინსკასი.

მეორე დღეს შეჯიბრების მონაწილენი კოშკიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. გოგონებში გაიმარჯვა ნ. კიშკომ (საქართველო). II ადგილზე გავიდა ნ. ცოცხალაშვილი, ხოლო III — ლიტველი ლ. იურელევიჩუტე. ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო რ. არუთინოვი. II ადგილზე გავიდა ლიტველი ე. სტანკიავიჩუსი, ხოლო III — ვ. ბასიუკი (საქართველო).

ორი დღის შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 611,28 ქულა. II ადგილზე გავიდნენ ლიტველები.

**ა. კავკასიძე.**



ს უ რ ა თ ზ ე: ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული ლიტველი გ. ვალაიტიტე.

ფოტო ავტორისა.

## ინფორმაციის საათი...

◆ *პრაღა, 28 ნოემბერი.* კუბიდან გზად სამშობლოსკენ საბჭოთა მოჭადრაკეებმა ჩეხოსლოვაკიაში გამართეს ერთდროული თამაშის სეანსები. ბრნოში ვ. კორჩნოიმ მოიგო 27 პარტია, ყაიმით დაამთავრა 8 და ხუთიც წააგო. ბრატისლავაში ავად გამხდარი ბ. სპასკის ნაცვლად სეანსი ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანის მწვრთნელმა ი. ბოლესლავსკიმ. მან მოიგო 19 პარტია, ყაიმით დაასრულა 10 და მხოლოდ 2 წააგო.

◆ **ბუდაპეშტი,** 28 ნოემბერი. აჰიმვაში მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარეს უნგრელმა ძალოსნებმა ი. ფიოლდიმ (მჩატე წონა) და დ. ვერეშმა (საშუალო). პირველმა 130,5 კგ აჩვენა და თავისივე რეკორდი 2 კგ-ით დაამძიმა, მეორემ კი 163,5 კგ-ის დაძლევით საბჭოთა ძალოსან ვ. ისაკოვის რეკორდი 2,5 კგ-ით გააუმჯობესა.

◆ **დელი, 28 ნოემბერი.** ინდოეთის ქალაქ კატაკაში მეხუთე მატჩი გამართეს მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა. მათ ამჯერადაც გაიმარჯვეს — 3:0 (15:8, 15:12, 15:9).

◆ *ტოკიო, 28 ნოემბერი.* აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მარათონულ რბენაში, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ახალი ზელანდიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და იაპონიის მძლეოსნები. გაიმარჯვა 34 წლის ახალზელანდიელმა მ. რაიანმა — 2:14.04,6. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს. მანამდე რაიანმა მოიგო ქალაქ ფუკუოკაში გამართული ტრადიციული მარათონი „ასახი“. გამარჯვებულს ავარჯიშებს სახელგანთქმული ახალზელანდიელი მწვრთნელი ა. ლიდიარდი.

### დღეს

თბილისის ტურისტულ ბაზაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 80) მოეწყობა ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

დასაწყისი 11 საათზე.

## საბოლოო გამარჯვება ეჭვს არ იწვევს

შარშან სტარტი მიეცა ევროპის ახალგაზრდა მოკრივეთა ნაკრები გუნდების ტურნირს, რომელშიც თავდაპირველად 8 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გადამწყვეტ ეტაპში ასპარეზობას მხოლოდ 2 კოლექტივი შემორჩა: სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდები — ძველი მეგობრები და სპორტული მეტოქეები.

გუშინწინ ლოძში გაიმართა საპატიო ჯილდოს — ევროპის თასის პრეტენდენტთა პირველი ფინალური შეხვედრა, რომელიც საბჭოთა მოკრივეებმა დიდი უპირატესობით მოიგეს — 7:3.

პირველ ხუთ წონით კატეგორიაში ნ. ნოვიკოვმა სძლია ჰ. ნოვაკს, პ. გორბატოვმა — ე. ვიხმანს, ბ. კუზნეცოვმა (ნოკაუტით) — ვ. დომბროვსკის, ვ. ტიპკინმა (ნოკაუტით) — ი. ჩარნოვეჯსკის, ა. დოლგოვმა (ნოკაუტით) — ზ. ფილიპინსკის.

პირველი ქულა მასპინძლებს ე. რუდკოვსკიმ მოუტანა, რომელმაც ა. კალინკინს მოუგო. ვ. გრუნიუშკინისა და ვ. ადამჩიკის ორთაბრძოლაში თავიდან საბჭოთა მოკრივე დაწინაურდა. მესამე რაუნდში მან მეტოქე ნოკდაუნშიც კი ჩააგდო, მაგრამ ერთ-ერთი შეტევის დროს წარბი დაიზიანა და ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. გამარჯვება ადამჩიკს მიეკუთვნა.

თ. ზალომსკიმ მოუგო ვ. ტარასენკოვს. ეს იყო პოლონელთა ბოლო გამარჯვება.

ქვემძიმე და მძიმე წონებში საბჭოთა მოკრივეებმა აშკარა უპირატესობის გამო ვადამდე დაამთავრეს ბრძოლები: ი. ნესტეროვმა დაამარცხა მ. ქიპიხი, ა. ვასიუშკინმა კი — ე. სნოჩეკი.

სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდები მეორე ფინალურ მატჩს 18-19 დეკემბერს გამართავენ რიგაში. როგორც პოლონელი, ისე საბჭოთა სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „საპატიო ჯილდოს მფლობელის ვინაობა ეჭვს არ იწვევს — თასს სსრ კავშირის მოკრივეები მიიღებენ“.

# მოგებული დარჩა ჯანმრთელობა



მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჯანმრთელობის III სპარტაკიადის შედეგები. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის რაიონების ნაკრები გუნდები და სახლმმართველობათა კოლექტივები. შეჯიბრება მიეძღვნა ოქტომბრის 50 წლისთავს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა ლენინის, III — ოქტომბრის რაიონის კოლექტივი.

აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ცალკეულ სახეობებში: ორჯონიკიძის რაიონის მოჭადრაკეებმა I ჯგუფში დაამარცხეს ლენინის (3,5:1,5), კალინინის (4:1) და კიროვის (5:0) რაიონების გუნდები. II ჯგუფში იმარჯვეს 1-ლი მაისის რაიონის სპორტსმენებმა, რომლებმაც ძლიეს ოქტომბრისა (3:2) და 26 კომისრის რაიონების (3,5:1,5) კოლექტივებს. ფინალური მატჩი ორჯონიკიძელებმა მოიგეს (4:1) და პირველობაც დაისაკუთრეს. სამაგიეროდ, ამ რაიონის მოჭადრაკეებმა სახლმმართველობების გუნდების ტურნირის ფინალში ლენინის რაიონის კოლექტივთან წააგეს (1,5:3,5) და II ადგილს დასჯერდნენ.

მძლეოსნობაში ყველას აჯობა 1-ლი მაისის რაიონის გუნდმა. პირველმაისელებმა იმარჯვეს ქართულ ჭიდაობაშიც. პირად ტურნირში საუკეთესონი იყვნენ: ვ. ლაშხი, ბ. ჯიჯიაშვილი (ორივე — 1-ლი მაისის რაიონი), ო. ხუგაშვილი (ლენინის), გ. ჩახნაშვილი (1-ლი მაისის), გ. ბასიშვილი (კალინინის), ს. ჩიტაიშვილი (ოქტომბრის), ვ. პეტრიაშვილი და გ. სულაშვილი (ორივე — 1-ლი მაისის რაიონი).

ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობის ფინალში ლენინის რაიონის კოლექტივმა მოუგო კიროვის რაიონის გუნდს — 2:1 (15:12, 16:15, 15:6), ხოლო ქალთა ტურნირში 26 კომისრის სპორტსმენებმა ძლიეს ორჯონიკიძის რაიონის ფრენბურთელებს — 2:0 (15:5, 15:12). როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის პირველობდნენ ლენინის რაიონის წარმომადგენლები.

დაძაბული იყო ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონების სპორტსმენთა ფინალური მატჩი მაგიდის ჩოგბურთში. მცირე უპირატესობით (3:2) გაიმარჯვეს ორჯონიკიძელებმა. სახლმმართველობის გუნდების ტურნირში უპირატესობა მოუტანა კიროვის რაიონს, რომლის გუნდმაც გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო (3:2) 26 კომისრის რაიონის კოლექტივს.

ვ. ბუკია.

# საბრძოლო დიდების გზებზე



## 11 ათასი კილომეტრი მოტოციკლებით...



11 ათასი კილომეტრი გაიარეს ავტო-მოტოტურიზმის რესპუბლიკური სექციისა და საეზოო სექცია „მერცხალის“ (თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი) წევრებმა რევოლუციის საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე. ლაშქრობა, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით მოეწყო, დიდი ოქტომბრის 50 და ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

თბილისიდან გასულთ უკან დაგვრჩა სოხუმი და ნოვოროსიისკი, დნეპროპეტროვსკი და ვილნიუსი, ლენინგრადი, ნოვგოროდი, სოლნეჩნოგორსკი...

გადარბენის მონაწილეები მოსკოვში ახალგაზრდობის II საკავშირო შეკრებაში ჩავებით. მერე ტულა, ხარკოვი, კურსკი, როსტოვი, არმავირი, პიატიგორსკი, ორჯონიკიძე გამოვიარეთ და თბილისს დავბრუნდით.

სანახავი ბევრი იყო. ჯერ თბილისიდან დავიწყეთ. რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ვნახეთ დაზგა, რომელზეც მუშაობდა მ. კალინინი, კომუნარების ბაღში — ლ. კეცხოველისა და ბ. ძნელაძის ძეგლები, პუშკინის სკვერში — კამოს საფლავი, გორში — ი. სტალინის ძეგლი, ღორეშაში — ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი, წულუკიძეში — ა. წულუკიძის სახლ-მუზეუმი, მინსკში — სახლი, სადაც შეიკრიბა რსდმპ I ყრილობა, ვილნიუსში — სკოლა, სადაც სწავლობდა ფ. ძერჟინსკი...

ლენინგრადში ვ. ი. ლენინის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები ვინახულეთ, მათ შორის, ორთქლმავალი, რომლითაც ნევის ქალაქში ჩამოვიდა 1917 წელს დიდი ბელადი. ვეწვიეთ ზამთრის სასახლეს, „რაზლივს“... გზადაგზა ქართველ მეომართა საფლავებს ვხვდებოდით. ყვავილი და მოკრძალება არ დაჰკლებიათ. ადგილობრივი მცხოვრებლები სათუთად, რუდუნებით უვლიან საბჭოთა მებრძოლების ხსოვნას.

...მოსკოვი. ახალგაზრდობის II საკავშირო შეკრებაში ჩვენმა გუნდმა III საპრიზო ადგილი დაიკავა, რისთვისაც ვიმპელი, თასი და სიგელი დაიმსახურა. ამ სტრიქონების ავტორს საპატიო ჯილდო ხვდა, როგორც უხუცეს მოტომრბოლელს. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა რ. პატიაშვილმა, ო. გრაკლელმა კი III ადგილი დაისაკუთრა.

გადარბენის მთელ გზაზე ვაგროვებდით საბრძოლო დიდების მასალებს. მარმარილოს დაფები დავდგით კრიმსკაიაში, ნოვოროსიისკში, ქერჩის მახლობლად აჯიმუშკაის ქვისსატეხებთან, სადაც 414-ე ქართული დივიზია იბრძოდა. ამ დივიზიამ დიდძალი დანაკარგი განიცადა სევასტოპოლთან, ბალაკლავის რაიონში, „ზოლოტაია ბალკას“ მთაზე. ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ 89-ე სომხური დივიზიის დაღუპულ მეომართა პატივსაცემად იქვე, ქართველ მებრძოლთა სასაფლაოს მახლობლად აღმართული მონუმენტი.

ჯერ კიდევ თბილისში ვესტუმრეთ საბჭოთა კავშირის გმირს, პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთ სახელოვან მეთაურს დ. ბაქრაძეს. ვკითხეთ — კოვპაკის პარტიზანთა დაზვერვის უფროსის ტალახაძის საფლავი სად არის-თქო. დავითმა გვიპასუხა, ტალახაძე და საბუროვის პარტიზანთა დაზვერვის უფროსი ბონდარენკო ერთად არიან დასაფლავებული შჩორსის რაიონში, ხოლო ზუსტად ეს კოვპაკმა იცისო.

...კოვპაკთან მოხვედრა არც ისე იოლი აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენს გაჭირვებას კიევის ოლქის მილიციის უფროსის მოადგილემ ვ. ფურმანმა უშველა. სწორედ მისი დახმარებით ვნახეთ საქვეყნოდ ცნობილი პარტიზანი. კოვპაკისგან გავიგეთ, რომ ტალახაძე და ბონდარენკო შჩორსის რაიონის სოფელ ელინოსთან არიან დასაფლავებული. მაშინვე წავედით ელინოში. ქალაქ შჩორსის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვოლკოვიც წაგვყვა. სოფელში უამრავი ხალხი დაგვხვდა. მიტინგი ვოლკოვმა გახსნა. თურმე იგი პირადად იცნობდა ტალახაძესა და ბონდარენკოს. საფლავზე დავდეთ მარმარილოს ქვა რუსულ-ქართული წარწერით.

დიდი სამამულო ომის ადგილებში დღეს უკვე აღარ ჩანს იმ საშინელი ქარტეხილის ნაკვალევი: საბჭოთა ადამიანის გამრჯე მარჯვენას ერთ დროს გადაბუგული ტრამალები წალკოტად უქცევია.

ვ. ნავროზაშვილი,
სპორტის ოსტატი ტურიზმში, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტოტურიზმის სექციის თავმჯდომარე, გადარბენის კომანდორი.

* * *

სურათებზე: 1. მოტოგადარბენის მონაწილენი გასცდნენ თბილისის გარეუბანს, 2. მოტომრბოლელები ენგურჰესის მშენებლობას ესტუმრნენ, 3. დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა საფლავზე მარმარილოს დაფის დადგმა, 4. კვლავ გზა... მოტოგადარბენის მონაწილენი ნოვოროსიისკს უახლოვდებიან.


1


2


3


4

# განშორების წინ

ქართულ ჭიდაობას განსაკუთრებული და ერთგული მაყურებელი ჰყავს. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ქართული ჭიდაობის გარდა იგი სპორტის არც ერთ სხვა სახეობას არ სცნობს. და კიდევ იმიტომ, რომ ჭიდაობის „სიბრძნე“, მისი ხასიათი და წესები მას კვალიფიციურ მსაჯზე ნაკლებად როდი აქვს ათვისებული. ქართული ჭიდაობისადმი ერთგულება კი მაყურებელს ტრადიციულად მოსდევს და ეს ტრადიცია ჩვენი ფალავნების სასახელო გამარჯვებებით არის ნაჭედი.

ამ დღეებში მაყურებელი ერთი წლით ემშვიდობება ქართულ ჭიდაობას. ამიტომ სეზონის ბოლო შეჯიბრებამ — უძლიერესთა რესპუბლიკურმა ტურნირმა — გულშემატკივრებიც საკმარისად მოიზიდა და მონაწილენიც. პირდაპირ ვიტყვით: გუშინწინ, ჩემპიონატის პირველი დღე თბილისის სპორტის სასახლეში დაძაბული და საინტერესო იყო.

მრავალფეროვანი და მოულოდნელი ილეთებით სავსე ნამდვილი ჭიდაობა სანახაობრივად ლამაზი და ლაზათიანია. სამწუხაროდ, ჩვენ სხვა სურათის მოწმეც ვყოფილვართ: არც ერთი ილეთი, არც ერთი გაბედული ნაბიჯი... მოჭიდავეებმა მამლებივით წაიძიძგილავეს, ბრძოლის ყალბი და უსუსური ილუზია შექმნეს, შემდეგ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, გადაკოცნეს... მორჩა და გათავდა. ასეთ ვაიფალავნებს ჯასახდელამდე მაყურებლების დამცინავი სტვენა აცილებს. სტვენა, როგორც დასჯის ზომა, რა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ განა შეიძლება ისეთ რაინდულ ჭიდაობაში, როგორიც ქართულია, გულმშვიდად უყურო ფალავანთა უნიათობასა და სიმხდალეს?

მიმდინარე ტურნირი ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია. კიდევ მეტიც, — ამდენი წმინდა გამარჯვება, ამდენი გაბედული და შედეგიანი ილეთი კარგა ხანია არ გვინახავს. როცა მსუბუქი წონის ათლეტმა, თბილისელმა ახალაურმა, თანაგუნდელ ლაზარაშვილს 42 წამში მოუგო, გვეგონა, ეს შედეგი სარეკორდო იქნებოდა. მაგრამ ქვემძიმე წონის ფალავანი ფეტვიაშვილი (თბილისი) კიდევ უფრო „სულსწრაფი“ გამოდგა და საგარეჯოელ რევაზიშვილთან 19 წამში „გაასწორა ანგარიში“.

საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ ზედა წონითი კატეგორიების ფალავნები ისე თამამად და გაბედულად იბრძოდნენ, როგორც მსუბუქისა. ეს მეტად სასიამოვნო სიახლეა, ვინაიდან ისინი განსაკუთრებული აქტიურობით არასდროს გამოირჩეოდნენ. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ მძიმე წონა შეადგენდა. ოთხი შერკინებიდან მარტო ერთი იყო შედეგიანი (თბილისელმა დანდუროვმა ქულებით სძლია რუსთაველ სიხვაძეს). დანარჩენ შეხვედრებში ქულაც კი არ გაკეთებულა და, ბუნებრივია, მეტოქეებს წაგება ჩაეთვალათ.

მხოლოდ პირველი დღის შედეგით მსჯელობა ძნელია, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: მონაწილეთა უმრავლესობა წარმატების მისაღწევად რატომღაც სარმებს გაურბის. მაგრამ, ვიმედოვნებ, ეს ტურნირის მხოლოდ პირველი დღის შთაბეჭდილებაა. წინ არის გადამწყვეტი ბრძოლები და ფალავნებს ყველა პირობა აქვთ გამოავლინონ თავიანთი შნო და უნარი.

ნ. ბუგუშვილი.

## რაიონებში [illegible]

◆ ზესტაფონი

რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში კარგა ხანია მუშაობს საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფი. მეცადინეობას ატარებენ სპორტსკოლის დირექტორი ა. კვესიტაძე და მწვრთნელები: თ. დოლაბერიძე, გ. ქლენტი და ო. აბაშიძე.

ა. ბანუგრაძე.

# ორი საჯარიმო სროლის ფასი

ლენინგრადში გრძელდება სამამულო კალათბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი. სტარტზე ლიდერობა ხელთ იგდეს საქართველოს კალათბურთელმა ქალებმა. ლატვიელებთან გამარჯვების შემდეგ ჩვენმა გუნდმა დაამარცხა რუსეთის ფედერაციის ნაკრები — 62:55 (36:26) და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ მცირე ხნით.

მესამე წრეში ლიდერთა წინსვლა უკრაინელებმა შეაჩერეს — 57:52. იმავე დღეს ლატვიის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის ნაკრები (81:62) და... ტურნირიც, ფაქტიურად, თავიდან დაიწყო, ვინაიდან ყველა მონაწილეს თითო წაგება აღმოაჩნდა.

შედარებით „მშვიდად“ ჩატარდა ქალთა კოლექტივების იმდღევანდელი ასპარეზობა. ფავორიტებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს: ლატვიამ დაამარცხა მოსკოვი (61:56), რუსეთის ფედერაციამ — ლიტვა (51:44), უკრაინამ — ლენინგრადის ახალგაზრდული ნაკრები (60:47).

საინტერესოდ მიმდინარეობდა ქალთა ტურნირის მეოთხე დღე. რუსეთის ფედერაციის ძლიერმა გუნდმა მორიგი ქულა ჩაიწერა მოსკოველებთან გამარჯვებისთვის — 60:41. ლიტველებმაც უკრაინის ნაკრებთან „დაგეგმილი“ გამარჯვება იზეიმეს — 51:47, მაგრამ მესამე მატჩმა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კალათბურთის ლიდერი — ლატვიის გუნდი (იგი თითქმის მთლიანად რიგის ტტტ-ს მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული) და მასპინძლები, სატურნირო ცხრილში ცვლილებები შეიტანა.

ლენინგრადის გუნდი გმირულად უმკლავდებოდა ლატვიელთა გამუდმებულ იერიშებს და რეგლამენტის ამოწურვამდე გაათანაბრა კიდეც ანგარიში — 55:55. დაინიშნა დამატებითი დრო და აი, „ხუთწუთიანის“ მიწურულში ზუსტად შესრულებულმა ორმა საჯარიმო სროლამ შეხვედრის ბედი ლენინგრადელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა — 61:59.

**კალათბურთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ჩემპიონის მატჩი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 27 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 3:1 (2:0).

**თბილისი:** კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

**კიევი:** ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, ტურიანჩიკი, ბიშევეცი (პუზაჩი), სერებრიანიკოვი, მედვიდი, ბიბა, ხმელნიცკი.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

ჩვენი რეცენზიის სათაურმა შეიძლება ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს მკითხველში, ვინაიდან განვლილი მატჩის მონაწილეთაგან, რამდენადაც ვიცით, ჩემპიონი იყო მხოლოდ ერთი — კიევის „დინამო“.

მეორე ჩემპიონი ვიღაა?

უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს მეორე ჩემპიონად დავასახელოთ... თბილისის „დინამო“, 1964 წლის ნიმუშის „დინამო“, როცა იგი ამ უმაღლეს ტიტულს ფლობდა და მის შესატყვის ფორმაშიც იმყოფებოდა. მატჩის ხარისხი, შინაარსი, სიმძაფრე, სანახაობითი მხარე და ორივე მეტოქის კლასი შეესაბამებოდა ჩემპიონთა კატეგორიას. დიდი ხანია ასეთი საინტერესო თამაში არ გვინახავს ჩვენს სტადიონზე და გამარჯვებულიც და დამარცხებულიც მხოლოდ ქების ღირსია.

კიევის „დინამო“ თბილისელ მაყურებელს თავისი ძირითადი, საბრძოლო შემადგენლობით წარუდგა და საუკეთესოდაც ითამაშა. ეს ძალიან რთული და შინაარსიანი კოლექტივია, რომლის მრავალფეროვანი სამოქმედო სქემა დეტალურადაა დამუშავებული. სტუმრების ტაქტიკური ნახაზი შეიძლება გამოიხატოს ფორმულით 4-3-3, მაგრამ ეს მხოლოდ საერთო ფორმებში, მხოლოდ საწყისი განლაგებისას. თვით თამაშის დროს კი კიეველები ქმნიან მრავალსაფეხურიან სისტემას, სადაც თავდასხმას შეტევაში რეგულარულად ჰყავს მაშველი რეზერვი ბიბასა და საბოს სახით. გუნდის წამყვან, მარეგულირებელ ძალას უეჭველად წარმოადგენს ნახევარდაცვის საზი, რომელიც განუწყვეტელ მოქმედებაშია და კონტროლს აწესებს არა მარტო მინდვრის შუაგულზე, არამედ საკუთარი და მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნების ფარგლებშიც.

ასევე რთული თამაში აქვს ჩემპიონს დაცვაში, სადაც ზედმიწევნითაა დამუშავებული ურთიერთდაზღვევა და მოპირდაპირე თავდამსხმელების აყვანა ზონებში, შეტევის დაწყება ღრმა ზურგიდან და სხვა საფეხბურთო სიბრძნეები. თავდასხმას, როგორც ზევით ვთქვით, შეტევის დასასრულს არასოდეს აკლია მხარდაჭერა ნახევარმცველთაგან და აქცენტი გადამწყვეტი დარტყმისთვის კეთდება ბიშევეცზე. იგი მუდამ წინაა წაწეული, ბევრს მოძრაობს ფლანგებზე, ყოველთვის დამიზნებულია კარზე.

თბილისელებმა სწორად დაგეგმეს მატჩი ჩემპიონთან. პოზიციური ბრძოლა ბურთის ნელი გათამაშებით მათ წარმატებას არ მოუტანდა. ამიტომ აირჩია გუნდმა მაქსიმალური ტემპი, სრული სისწრაფე შეტევისას და ხშირი დრიბლინგი, როგორც მოწინააღმდეგე დაცვის დეზორგანიზაციის საშუალება. კოლექტივის თვითეულმა წევრმა საუცხოოდ ჩაატარა მთელი მატჩი და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. როგორც იქნა, ვიხილეთ თავისი ნამდვილი უნარის დონეზე თავდასხმის ცენტრში მეტრეველი, ხოლო გ. სიჭინავამ კიეველებთან ითამაშა ისე, როგორც მას შეუძლია — თანამედროვე საერთაშორისო კლასის ნორმაზე. მთელ რიგ მომენტებში იგი შეუდარებელი იყო და, თანაც, ზედმეტი ინდივიდუალიზმით არ სცოდავდა.

მატჩს არ ჰქონია მოსაწყენი პროლოგი. ბრძოლას თავიდანვე უკიდურესად დაძაბული, საინტერესო ხასიათი მიეცა და უკვე მე-9 წუთისთვის შეიძლებოდა ანგარიში 1:1 ყოფილიყო. ჯერ მესხმა ვერ გამოიყენა მეტრეველის მიერ მოწოდებული ბურთი, ხოლო შემდეგ ხმელნიცკიმ ერთი ნაბიჯით დაიგვიანა ზედ კარის ხაზთან.



მართალია, ჩემპიონი ამ მატჩში ჩემპიონს ჰგავდა და სრული სიძლიერითაც თამაშობდა, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო, რომ სისწრაფეში იგი ჩამორჩებოდა მეტოქეს და მცირე, სულ მცირე დროით ვერ ასწრებდა საჭირო კონტრზომების მიღებას პირისპირ, ინდივიდუალურ ბრძოლისას.

სწორედ ამ უნაკლო ინდივიდუალური საშემსრულებლო ხელოვნების ნიმუში იყო თბილისელთა მიერ გატანილი პირველი გოლი 32-ე წუთზე: გ. სიჭინავა მინდვრის სიღრმიდან დაიძრა, გადასცა ბურთი მესხს, მარცხენა გარემარბმა რთული ტექნიკური ელემენტი შეასრულა და კარის წინ გაიყვანა მეტრეველი, რომელმაც უმაღლესი ოსტატობით დაამთავრა ეს საუკეთესო კომბინაცია — 1:0.

6 წუთის შემდეგ მეტრეველმა ზუსტად გადააწოდა ბურთი ასათიანს, რომელიც ღიად აღმოჩნდა ბანიკოვის წინ — 2:0.

არც ერთი წუთით არ დამცხრალა ტემპი მეორე ტაიმშიც. კიეველებმა რამდენიმე მეტად სახიფათო კომბინაცია გაითამაშეს, რომლის დროსაც ძნელი ბურთების აღება მოუხდა კოტრიკაძეს, სრული დატვირთვით მუშაობდა დაცვა.

მიმდინარეობდა მატჩის 72-ე წუთი, როცა სტუმრების კარი კიდევ ერთხელ იქნა აღებული. მეტრეველმა რთულ სიტუაციაში მიიღო იამანიძის გადაცემა და შორ კუთხეში გაგზავნა ბურთი. ბანიკოვი უძლური იყო ეხსნა კარი ამ დარტყმისგან — 3:0.

გამარჯვება სრული და უაპელაციო იყო, მაგრამ კიეველებმა მაინც შეძლეს თავი ეხსნათ „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებისაგან და მათ მიერ გატანილი ერთადერთი საპასუხო გოლიც უმაღლესი კლასის დონეზე იყო შესრულებული. მისი ავტორი გახლდათ ხმელნიცკი.

მატჩს თამამად შეიძლება ეწოდოს საუკეთესო სეზონში ჩვენს სტადიონზე და, დამარცხების მიუხედავად, მას არ შეულახავს ჩემპიონის პრესტიჟი. უბრალოდ, თბილისელები ამ დღეს შესანიშნავად თამაშობდნენ.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: თბილისელთა პირველი გოლი. ს. მეტრეველმა ზუსტად გაგზავნა ბურთი ვ. ბანიკოვის კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ა“ კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 35 | 22 | 10 | 3 | 64—17 | 54 |
| ასკ (როსტოვი) | 36 | 20 | 7 | 9 | 54—44 | 47 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 35 | 17 | 9 | 9 | 58—28 | 43 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 35 | 15 | 12 | 8 | 45—38 | 42 |
| ცსკა | 36 | 16 | 9 | 11 | 60—45 | 41 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 35 | 15 | 9 | 11 | 54—38 | 39 |
| „დინამო“ (თბილისი) | 35 | 13 | 13 | 9 | 44—31 | 39 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 36 | 12 | 14 | 10 | 43—34 | 38 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 35 | 10 | 17 | 8 | 35—31 | 37 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 36 | 15 | 7 | 14 | 32—35 | 37 |
| „დინამო“ (მინსკი) | 36 | 11 | 13 | 12 | 36—39 | 35 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 36 | 12 | 11 | 13 | 30—39 | 35 |
| „არარატი“ (ერევანი) | 36 | 12 | 10 | 14 | 30—45 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 36 | 10 | 13 | 13 | 29—36 | 33 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 10 | 8 | 18 | 35—54 | 28 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 35 | 9 | 9 | 17 | 41—56 | 27 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 36 | 11 | 5 | 20 | 34—49 | 27 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 36 | 4 | 17 | 15 | 18—40 | 25 |
| ასკ (ოდესა) | 35 | 1 | 13 | 21 | 16—54 | 15 |

სსრ კავშირის პირველობა

# ქუთაისელები ტრადიციას იცავენ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 ნოემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 4:2 (2:0).

**ქუთაისი:** კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე (ებრალიძე), სიამაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, წვერავა, ერქომაიშვილი, ხერხაძე, ხაჟალია, გ. ნოდია.

**მოსკოვი:** შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, ჩუმაკოვი (სარაევი), ვორონინი, სტაფეროვი, ლენიოვი, კლიმოვი, შალიმოვი, ბრედნევი, მიხაილოვი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

დუბლიორები — 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ქუთაისის ტორპედოელებს აქვთ ერთი „დაკანონებული“ ტრადიცია: ისინი მუდამ ძლიერად თამაშობენ მოსკოველ თანაკლუბელებთან და შესაბამისად ამისა, მათი შეხვედრების საერთო ბალანსიც საკავშირო ჩემპიონატებში კვირის მატჩამდე თანაბარი იყო. ორივე გუნდს მოგებული ჰქონდა 3-3 თამაში (3 შეხვედრა ფრედ დამთავრდა). ახლა კი ჩვენი გუნდი დაწინაურდა.

დაიწყო მატჩი და ქუთაისელებმაც დაიწყეს ხანგრძლივი, ძლიერი იერიში. ათიოდე წუთის შემდეგ მოსკოველთა დაცვის რიგებს შეუერთდნენ ნახევარმცველებიც, რომლებიც გაჭირვებით იგერიებდნენ მასპინძელთა იერიშებს.

ქუთაისელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხერხაძე. იგი პირველივე წუთებიდან სრული აზარტით ჩაება თამაშში და მისი აქტიური მოქმედების შედეგად მოსკოველთა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მე-8 წუთზე ხაჟალიამ კარგი გადაცემა მიიღო ხერხაძისგან, მაგრამ ბოლო მომენტში დაკარგა ბურთი მეკარესთან შეტაკებისას. ცოტა ხანში ასეთივე მომენტი ვერ გამოიყენა ნოდიამ.

ანგარიში გაიხსნა 26-ე წუთზე. კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ვერ მიწვდა შაპოვალენკო. ნოდიამ კარგად შეარჩია ადგილი და თავით გაიტანა პირველი გოლი—1:0.

მასპინძელთა შეტევებში თანდათან ჩაერთნენ ნახევარმცველები და მცველებიც. მე-40 წუთზე ხერხაძე სწრაფად გავიდა რამდენიმე მცველს შორის და უძლიერესი, ზუსტი დარტყმით გაზარდა ანგარიში — 2:0.

ქუთაისელთა გამარჯვება მთლიანად განაღდებული იქნებოდა პირველივე ტაიმში, როცა 43-ე წუთზე ექს-ჩემპიონის კარში ერთ-ერთი მცველის ხელით თამაშისთვის დაინიშნა პენალტი. 11-მეტრიანი დარტყმა ხაჟალიამ კარს ააცილა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მოსკოველებმა მცირე ხნით გამოასწორეს მდგომარეობა და ვორონინმა გაქვითა 1 გოლი, მაგრამ მე-15 წუთზე ხერხაძემ თავის გუნდს ანგარიშში ადრინდელი ინტერვალი აღუდგინა — 3:1.

30-ე წუთზე სტაფეროვმა ერთხელ კიდევ შეუქმნა მოსკოვის „ტორპედოს“ ანგარიშის გათანაბრების საშუალება — 2:3, მაგრამ არ გასულა წუთი და ხაჟალიამ ხერხაძის გადაცემიდან წერტილი დაუსვა ქუთაისელთა გამარჯვებას — 4:2.

მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ თავიანთი გუნდის ღირსეულ წარმატებას.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

* * *

სურათზე: ჯ. ხაჟალიას მეოთხე გოლი გააქვს მოსკოვის „ტორპედოს“ კარში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.



# „გურია“ — უძლიერესი

ლანჩხუთი. საქალაქო სტადიონი. 27 ნოემბერი.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0 (0:0).

**„გურია“:** ურუშაძე, სანაძე, მებურიშვილი, წილოსანი, წერეთელი, ჯორბენაძე, კვირკველია, ჩხარტიშვილი, ჰყონია, სიხარულიძე, ნარიაშვილი.

**„შუქურა“:** ქობულაძე, ჯობავა, ახალაძე, პატარაია, ვერულიძე, პალტაშიდი, შონუხი, მღებრიშვილი, მანელიშვილი, ტანანაშვილი, კბილაშვილი.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

მოხდა ისე, რომ I ადგილის საკითხი უნდა გადაეწყვიტა სწორედ ამ ორ პრეტენდენტს. იმ გარემოებამ, რომ ჩემპიონის წოდების მოპოვებისთვის მასპინძლებს 1 ქულაც ჰყოფნიდათ, ხოლო „შუქურას“ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, გარკვეული დაღი დაამჩნია მატჩს. როგორც კი დაიწყო თამაში, ქობულეთელებმა სწრაფი ტემპი განავითარეს და ინიციატივა თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში მათ მხარეს იყო. ორჯერ აღმოჩნდა მანელიშვილი საუკეთესო მდგომარეობაში და ორივეჯერ ურუშაძემ იხსნა თავისი გუნდის კარი. მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთებზე გამოასწორეს ლანჩხუთელებმა მდგომარეობა და რამდენიმე კონტრშეტევაც განახორციელეს.

შესვენების შემდეგ „გურიამ“ შეცვალა ტაქტიკა: შეტევაში აქცენტი ფლანგებზე გადაიტანა, სადაც განსაკუთრებით აქტიურობდა ნარიაშვილი. 77-ე წუთზე იგი კარგად გავიდა მარჯვენა ფრთაზე, ზუსტად მიაწოდა კარის წინ, სადაც ადგილზე აღმოჩნდა ჰყონია. ამ უკანასკნელის მიერ თავით დარტყმული ბურთი „შუქურას“ კარის მაღალ კუთხეში გავიდა.

გატანილმა გოლმა მეტი დამაჯერებლობა შეიტანა მასპინძელთა თამაშში, რომლებსაც შეეძლოთ კიდევ უფრო განემტკიცებიათ თავიანთი გამარჯვება. დამთავრდა მატჩი და ქობულეთელებმა პირველებმა მიულოცეს დიდი წარმატება ჩემპიონს.

კარგად ჩაატარა მატჩი მსაჯთა ბრიგადამ.

## სამტრედიასა და თბილისში

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მეშახტე“, (ტყვარჩელი) 5:1. მსაჯი ნ. ამირაჯიბი (თბილისი).

რკინიგზელთა უპირატესობით მიმდინარეობდა თამაშის პირველი ნახევარი, თუმცა იგი მოგებულ იქნა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 1:0. შემდგომში სამტრედიელები უფრო ზუსტად მოქმედებდნენ...

● ასკ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 0:1. მსაჯი ა. კვერნაძე (თბილისი).

არმიელ ფეხბურთელებს შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მსვლელობაში, მაგრამ მისი რეალიზება გუნდმა ვერ შეძლო. კიდევ მეტიც: 71-ე წუთზე ჯგერენაიამ გაიტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ზუგდიდელებს.

## ჭიდაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# რომელი გრიგოლის ცხოვრება?

სულხან-საბა ორბელიანი ჭადრაკს ასე განმარტავს: „სამორინო (გრიგოლის ცხოვრება)“ („სიტყვის კონა“, თბილისი, 1949 წ. გვ. 457).

ადვილი მისახვედრია, რომ ლექსიკოგრაფს ეს სიტყვა გრიგოლის ცხოვრებაში ამოუკითხავს, მაგრამ რომელი გრიგოლის ცხოვრებაში?

„სამორინოს“ მნიშვნელობას საბა დაწვრილებით ხსნის სიტყვა „მორინეს“ განმარტებისას: „მორინე — ესე არს ნარდი, ჭადრაკი, განჯაფა და მისთანა სამღერალნი (მღერა ძველი ქართულით თამაშს ნიშნავს. — თ. გ.). ხოლო მემორინე მომღერალი მათი და სამორინე სახლი, სადა მარადის იმღერიან“ (გვ 220).

როგორც ჩანს, ჩვენში ადრევე იცნობდნენ ჭადრაკს, თორემ რატომ წერენ მასზე ჯერ გრიგოლი, შემდეგ სულხან-საბა და, ბოლოს, დ. ჩუბინაშვილი?

ცხადია, გრიგოლის ვინაობისა და მისი ცხოვრების დროის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ჭადრაკის ისტორიისთვის.

სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებს იმ ლიტერატურულ წყაროებზე, რომლებითაც მას უსარგებლია ლექსიკონის შედგენისას. იგი ორ გრიგოლს ასახელებს: გრიგოლ ნოსელს — საკვირველმოქმედსა და გრიგოლ ღვთისმეტყველს — ნაზიანელს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლექსიკოგრაფმა სწორედ ამათგან ერთ-ერთის ცხოვრებაში მიაგნო „სამორინოს“.

გრიგოლ ნოსელი 394 წელს გარდაიცვალა, გრიგოლ ნაზიანელი კი — 389-390 წლებში. ისტორიკოსები (პირველ ყოვლისა, ინგლისელი მერეი) მიიჩნევენ, რომ ჭადრაკი VI საუკუნეში გამოიგონეს. თუ ამ შეხედულებას დავეთანხმებით, კვლევისთვის არც ერთი ზემოხსენებული გრიგოლი არ გამოგვადგება. მაგრამ თუ დავუჯერებთ საბჭოთა მკვლევარებს (ი. მაიზელისს, ზ. ხოჯაევს, ა. დიუმელს), რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჭადრაკი II საუკუნის პირმშოა, მაშინ ორივე გრიგოლის ცხოვრება საგანგებო შესწავლის ღირსია. კიდევ უფრო ღრმად რომ ჩავდიოთ, შესაძლოა გაირკვეს, რომ ქართველები ჭადრაკს გავეცანით არა VII-VIII საუკუნეებში, როგორც ამას ჩვენ ვფიქრობთ, არამედ 300-400 წლით ადრე.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. აბრამიშვილმა, რომელიც ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობს, სცადა გამოეკვლია, სახელდობრ, რომელი გრიგოლის ცხოვრება აქვს მხედველობაში სულხან-საბა ორბელიანს. მან ერთმანეთს შეაჯერა ლიტერატურული წყაროები, რომლებითაც უსარგებლიათ ორბელიანსა და დ. ჩუბინაშვილს (რუსულ-ქართული ლექსიკონი, სანკტ-პეტერბურგი. 1887-1890 წწ.) და შენიშნა, რომ დ. ჩუბინაშვილი მარტო გრიგოლ ნოსელს ასახელებს.

„ჩემი აზრით, — წერდა 1962 წელს ა. აბრამიშვილი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე, — ტერმინი „ჭადრაკი“ საბას ამოუღია გრიგოლ ნოსელის „ცხოვრება და შესხმა ვასილი დიდისა და სხვანი სწავლანიდან“. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში X-XI საუკუნეებში (რატომ ადრე არა? — თ. გ.) სიტყვა „ჭადრაკი“ და მისი ფუნქცია უკვე დამკვიდრებული ყოფილა“.

მეცნიერის მოსაზრება ყურადსაღებია. გრიგოლ ნოსელის ზემოხსენებული ნაშრომი აუცილებლად უნდა შევისწავლოთ.

სწორედ გრიგოლის ვინაობის დაუდგენლობამ აკითხვინა სომხეთის ჭადრაკის მკვლევარს ა. მოკაციანს „ეს გრიგოლი სომხური ეკლესიის ცნობილი მოღვაწე ხომ არ არის?“ („შახმატნი სლოვარი“. მოსკოვი. 1964 წ.).

ეს საკითხი, ალბათ, დააინტერესებთ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს და ისტორიკოსებს. იმედი გვაქვს, ისინი შეეცდებიან დაადგინონ, რომელ გრიგოლს ახსენებს სულხან-საბა ორბელიანი და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ ქართულ საჭადრაკო კულტურას.

თ. გიორგაძე.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები — ფეხბურთი

## 25-25 ქულით

ლიდერობისკენ მიიწევს ცნობილი ინგლისური კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“. შაბათს, ჩემპიონატის XVIII ტურში, ამ გუნდმა შინ დაამარცხა „სანდერლენდი“ — 5:0. 4 გოლი გაიტანა ჰერდმა. ამდენივე გოლის ავტორია „ბერნლის“ ცენტრფორვარდი ლოქჰიდი. „ბერნლიმ“ შინ მოუგო „ასტონ ვილას“ — 4:2.

„ლივერპულმა“ წააგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ — 1:2, ხოლო „ევერტონმა“ — ბოლო ადგილზე მყოფ „ბლეკპულთან“ — 0:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ფულჰემი“ — „მანჩესტერ-სიტი“ 4:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:1, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „შეფილდ უენსდეი“ 3:1, „ნოტინგემ ფორესტი“ — „არსენალი“ 2:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ლესტერ-სიტი“ 0:1, „სტოკ-სიტი“ — „ჩელსი“ 1:1, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „საუთჰემპტონი“ 5:3.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 18 | 35:19 | 25 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 17 | 37:23 | 25 |
| „სტოკ-სიტი“ | 18 | 27:16 | 23 |
| „ლივერპული“ | 18 | 34:24 | 23 |
| „ბერნლი“ | 18 | 38:30 | 21 |

(საქ. ინფ.).

## მორიგი გამარჯვება

შოტლანდიის ჩემპიონმა — გლაზგოს „სელტიკმა“ შაბათს 28-ე ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა ამ სეზონში და არც ერთი მათგანი არ წაუგია. ალბათ, ამის გამოა, რომ სექტემბრიდან მოყოლებული, „სელტიკის“ თამაში 1 მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა. შაბათს გლაზგოელები შეხვდნენ ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოტიენს“ და კვლავ გაიმარჯვეს — 3:0.

თასის მფლობელმა „გლაზგო რეინჯერსმა“ გასვლითი მატჩი მოუგო „ჰიბერნიენს“ — 2:1.

აი, დანარჩენი მატჩების შედეგებიც: „ეირ იუნაიტედი“ — „ეირდრიონიენსი“ 0:1, „დანდი იუნაიტედი“ — „აბერდინი“ 1:3, „მადერუელი“ — „დანფერმლაინი“ 6:2, „პარტიკი“ — „ფოლკერკი“ 1:0, „სენტ-ჯონსტონი“ — „კილმარნოკი“ — 1:3, „სენტ-მირენი“ — „კლაიდი“ 1:3, „სტერლინგ ალბიონი“ — „დანდი“ 2:3.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 12 | 42:14 | 23 |
| „გლაზგო რეინჯ.“ | 12 | 37:9 | 20 |
| „აბერდინი“ | 12 | 26:16 | 18 |

(საქ. ინფ.).

# ყოველი მხრიდან

## ყველაფერში ჩემი „ჰობია“ დამნაშავე

— ამჯერად ჩემმა „ჰობიმ“ (გატაცებამ) ისეთი საქმე დამმართა, რომ კარგა ხანს მემახსოვრება! — განუცხადა ამ დღეებში ჟურნალისტებს თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნორვეგიელმა ტორალფ ენგანმა.

ენგანს, მართლაც, ბედმა უმტყუნა. მას მიაჩნია, რომ ფორმის შენარჩუნებას არაფერი ისე არ უწყობს ხელს, როგორც სპორტის რაიმე საზაფხულო სახეობით დაინტერესება. თავად ტორალფი ძალიან გატაცებულია ფეხბურთით. — ფეხბურთი მეხმარება ჩემთვის აუცილებელი ორი თვისების: სიმარდისა და სწრაფი რეაქციის გამომუშავებაში, — ხშირად ამბობს იგი.

ჰოდა, ახლახან, ერთ-ერთ მორიგ მატჩში ენგანს მარცხი მოუვიდა: ცუდად გადახტა. შედეგად — მყესის დაჭიმვა და ექიმების კატეგორიული დიაგნოზი: ამ სეზონში ოლიმპიურ ჩემპიონს ტრამპლინზე ფიქრიც კი ეკრძალება.

— ვშიშობ, ეს საბედისწერო ნახტომი არ მომცემს საშუალებას მონაწილეობა მივიღო 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში, — თქვა გულდაწყვეტილმა ენგანმა.

საგულისხმოა, რომ გამოჩენილი ნორვეგიელი სპორტსმენი 100-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომისას ერთხელაც არ დაშავებულა.

## დაითვალეს — გული აუჩუყდათ

თავის დროზე დასავლეთგერმანული გაზეთის „შპორტ-დეპეშეს“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ვილი დაუმემ განაცხადა: „გფრ-ის სპორტსმენები ყველა სახეობაში ჯობნიან აღმოსავლელ ათლეტებს და თუ ცალკე გუნდად გამოსვლა მოუწევთ, ამ უკანასკნელთ არავითარი შანსი არ ექნებათ დასავლეთელებთან გატოლებისაც კი“.

სინამდვილეში კი რა მოხდა? მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიურ თამაშებში ორი ცალკე გუნდის მონაწილეობის თაობაზე, ბონის „შპორტბუნდში“, რომლის პრეზიდენტიც ბატონი დაუმე გახლავთ, განგაში ატყდა. „შპორტბუნდის“ მოღვაწეები დარწმუნდნენ, რომ მსოფლიოში პირველი გერმანული მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სპორტსმენებმა გაცილებით მეტს მიაღწიეს, ვიდრე მათმა დასავლეთელმა კოლეგებმა. ამის ნათელი მაგალითია 1966 წლის საერთაშორისო შეჯიბრებების შედეგთა წინასწარი შეჯამება. შპორტბუნდელებმა ქულები დაითვალეს და გული აუჩუყდათ, მერე კი დასავლეთ გერმანიის სპორტის ხელისშემწყობი ფედერალური კომიტეტის ხელმძღვანელმა ზ. პერიმ გამოაცხადა: „ახალ პირობებში, როცა ცალ-ცალკე გუნდებით მოგვიწევს გამოსვლა, ძალიან ვეჭვობ, ოლიმპიური დაფნის გვირგვინები გვხვდეს წილად. აქედან დასკვნა: მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში მცირერიცხოვანი გუნდი უნდა გავგზავნოთ. ჯერ ერთი, ფული არა გვაქვს და სახელმწიფო სულაც არ აპირებს ჩვენთვის თავის შეწუხებას, მეორე, — რაც უფრო ნაკლები სპორტსმენი გვეყოლება გუნდში, მით უფრო მეტი შანსი გვაქვს ავიცდინოთ სამარცხვინო და გამანადგურებელი მარცხი“.

## ხულიგანი რინგზე

„რინგს ქვები დაუშინეს!“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „დი ველტმა“ წერილი მსუბუქი წონის პროფესიონალი მოკრივეების, ამერიკელი კარლოს ორტიცის და მექსიკელი ულტიმინიო რამოსის მატჩის შესახებ. ორტიცს — მსოფლიო ჩემპიონს — ტიტული უნდა დაეცვა. მაგრამ რინგზე ამერიკელმა შეტევითი ტაქტიკა კი არ აირჩია, არამედ მხოლოდ მექსიკელის იერიშს იგერიებდა. მხოლოდ ერთხელ მოარტყა რამოსს და ამ ერთადერთმა დარტყმამ გაშლილი ხელთათმანით მექსიკელს წარბი გაუპო.

რამოსი მაინც განაგრძობდა ბრძოლას. ორტიცი ამას კი აღარ მოელოდა. მან და მისმა მენაჯერმა ექიმი იხმეს, რომელმაც მოითხოვა რამოსი დამარცხებულად ეცნოთ და რინგიდან გაეყვანათ „წარბის დაზიანების“ გამო.

მაგრამ მსაჯმა ბ. კონმა ორტიცს უბრძანა ბრძოლა განეგრძო. ამერიკელი სასტიკ უარზე დადგა: „ამ მექსიკელ ღორთან ბრძოლა აღარ მსურს. მილიონი დოლარიც რომ მომცეთ, რინგზე აღარ გავალ!“

ამ ცინიკური განცხადების საპასუხოდ მექსიკელებმა რინგს ქვები დაუშინეს.

— სპორტი ხულიგნების საქმე არ არის! — ასეთი შეძახილებით დატოვა მაყურებელმა დარბაზი მეხიკო-სიტიში.



ის, რაც ამ სურათზეა აღბეჭდილი, სამრაუნდიანი დრამის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენს. მაგრამ ამ ეპიზოდმა 33 წლის ამერიკელი მოკრივის კლივლენდ უილიამსის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. საქმე ისაა, რომ უილიამსი 14 ნოემბერს — მსოფლიო ჩემპიონ მოჰამედ ალისთან შეხვედრის დღეს, მთელი ცხოვრება ელოდა. ვინ იცის, რა იმედებს ამყარებდა იგი ამ ბრძოლაზე. მაგრამ მოჰამედ ალის დაუნდობელმა მარჯვენამ გვირგვინის მაძიებლის ოცნება ხელის ერთი მოქნევით დაამსხვრია. მოჰამედ ალი დარჩა რინგის უძლეველ მბრძანებლად, კლივლენდ უილიამსმა კი, ამბობენ, ხელი აიღო კრივზე.

ფეხბურთი

## სტუმრად აფრიკელებთან

ბამაკო, 28 ნოემბერი. უკრაინის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები აქ შეხვდა მალის დედაქალაქის გუნდს. გაიმარჯვეს აფრიკელებმა — 1:0.

## ახალი ამბები

● **ბრაზილიის** ფეხბურთის მოყვარულებმა ახალი დარტყმა იგემეს: აიწია ფეხბურთის ბილეთების ფასმა. თუ წინათ ბილეთი 1000 კრუზეირო ღირდა, ახლა მისი ფასი იქნება 2000 კრუზეირო. საინტერესოა, რომ ფეხბურთის საქმოსნებმა მაყურებელთა რაოდენობის შემცირების შიშით დაწიეს მატჩებზე დასწრებისთვის აუცილებელი ასაკობრივი ზღვარი: წინათ მატჩზე 10 წელზე პატარა ბრაზილიელს დასწრება არ შეეძლო, ამიერიდან კი 5 წლის ბავშვსაც შეუძლია ბილეთის შეძენა.

● **ფეხბურთის** ცნობილი სპეციალისტი, „ბებერ მელად“ წოდებული დასავლეთგერმანელი ზ. ჰერბერგერი, რომელიც წლების მანძილზე სათავეში ედგა გფრ-ის ნაკრებს, ამ ქვეყნის ტელეგადაცემებში მიიღებს მონაწილეობას. ჰერბერგერი წაიკითხავს ლექციების ციკლს ფეხბურთზე.

## თავისებური შეფასება

საინტერესო განცხადება გააკეთა ამას წინათ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, გენერალმა აბდულ ა. მუსტაფამ:

— ეგვიპტის ფეხბურთს მე მსოფლიოში მე-16 ადგილზე დავაყენებ. ევროპაში ჩვენ გვჯობია 10 ქვეყანა, ხოლო სამხრეთ ამერიკაში — 5. აფრიკასა და აზიაში ბადალი არა გვყავს. ჩემი დიდი სურვილია მოეწყოს მატჩი ევროპა — აფრიკა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ქართული ფიდაოგა.** სპორტის სასახლე. **დღეს:** საქართველოს პირადი პირველობის ფინალი. დასაწყისი 12 ს., და 18 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. 1 დეკემბერი. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი).** მირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

ИИ.11 КС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 შე 12885